- ეროვნული მუზეუმის, კუს ტბის, ეთნოგრაფიული მუზეუმის საფონდო საცავის, გათბობა-გაგრილების სისტემების პროექტი.
- ამირანაშვილის მუზეუმის ახალი კორპუსის, რეაბილიტაციის პროექტი.
- საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ეროვნული გალერიის გათბობა-ვენტილაციის და პაერის კონდიციონერების პროექტის დამუშავება.

### 1. ევლობ:

- თანამედროვე ენერგეტიკული დანადგარების ოპტიმალური ვარიანტების შერჩევას და მათი ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობებს.
- საინჟინრო კომუნიკაციების პროექტირებისათვის საჭირო მონაცემთა ბაზას.
- თბომომარაგების, საცივით მომარაგების, აირმომარაგების, სისტემების პროექტირების საკითხებს.
- თანამედროვე სამშენებლო მასალების თბოფიზიკურ მაჩვენებლებს (გამოყენებულს კედელში და შემინულ ზედაპირში).
- კომპიუტერულ ტექნიკას, ტექნოლოგიური პროექტირებისათვის.
- ქართულ, რუსულ და ინგლისურ (ტექნიკურ) ენებს.

### 2. შემიძლია კვალიფიციურად მოვამზადო:

- პროექტები ზემოთ აღნიშნულ და სხვა საკითხებზე.
- ჩაეტარო ენერგეტიკული აუდიტი.

სიმონი ბარამიძე.

“14” “აპრილი” 2013წ

## Curriculum Vitae

გურამ რაზმაძე

საქართველო, ქ. თბილისი.

საბურთალოს ქ. კორპ. 3, ბინა 17.

ტელ. (995 32) 237 19 41; (995 32) 599 111 123.

1. სახელი, გვარი: გურამი რაზმაძე;
2. დაბადების თარიღი: 29.08.1951;
3. ეროვნება: ქართველი;
4. ოჯახური მდგომარეობა: ცოლიანი, ორი შვილი;
5. განათლება: უმაღლესი, 1973 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიური ფაკულტეტი, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის სპეციალობით;
6. სამუშაო ადგილი – თანამდებობა:
  - 1973-74 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიურ პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია – უმცროსი მეცნიერ-მუშაკი;
  - 1974-77 “საქგეოლოგია”, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიცია – გეოლოგი;
  - 1977-82 საპროექტო ინსტიტუტი “საქკოლმეურმშენპროექტი” – უფროსი ინჟინერ-გეოლოგი;
  - 1982-92 საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიცია – ჯგუფის უფროსი;
  - 1992-95 საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიცია – პარტიის უფროსი;
  - 1995-96 საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა – უფროსი ინსპექტორი;
  - 1996-98 საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი – დირექტორის მოადგილე საფინანსო-ეკონომიკურ დარგში;
  - 1998-2001 შპს “ექსი” – დირექტორის მოადგილე საწარმოო დარგში. ს/ს “აზოტ ში” შპს “ექსი“-ს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი (ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური და სატრანსპორტო უზრუნველყოფა, წარმოებული პროდუქციის ექსპორტი და საწარმოო მაჩვენებლების სტატისტიკური დამუშავება);
  - 2001-2005 შპს “ჯეენექსი” – სატრანსპორტო გადაზიდვების მენეჯერი;
  - 2005-2006 ს/ს „აზოტი“ – მომარაგება-გასაღების განყოფილების უფროსი.
  - 2006-დღემდე შპს "გეოინჟინინგესტი" – აღმასრულებელი დირექტორი.
7. სამუშაო გამოცდილება სპეციალობით:
  - დუშეთის რ-ნის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა 1:10000
  - თიანეთის რ-ნის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა 1:25000

ღენტიხის რ-ნის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა 1:25000

საქართველოში საძიებო სამუშაოების წარმოება სამრეწველო და საცხოვრებელი ობიექტების მშენებლობისათვის

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ეკლესია მონასტრების მშენებლობა რეაბილიტაციისათვის (ძალათხვეის მამათა მონასტერი, ახალციხის საკათედრო ტაძარი, ადიგენის რ-ნის სოფ. არალის წმინდა ნინოს სახ. ეკლესია და ჯაყისმანის მამათა მონასტერი, ბაღდათის რაიონის ფერსათის ეკლესია, საჩხერის რაიონის ჯრუჭის წმ. გიორგის სახ. ტაძარი და სხვა).

ახალციხეში რაბათის სამუზეუმო კომპლექსის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

8. უცხო ენები: *რუსული – თავისუფლად, ინგლისური ლექსიკონის გამოყენებით;*
9. კომპიუტერი: *MS Windows, MS Office – მოყვარულის დონეზე.*

**პირადი მონაცემების (CV) ფორმა, შემოთავაზებული პროფესიული პერსონალისთვის**

სპეციალისტის სახელი, გვარი: გაბრიელ მაზმიშვილი

დაბადების თარიღი: 18 სექტემბერი, 1961 წელი

სპეციალობა: ინჟინერ მიწათმომწყობი

ეროვნება: ქართველი

ძირითადი კვალიფიკაცია: გეო ინფორმაციული სისტემების სპეციალისტი, ტოპოგრაფი

2000–2004 საკადასტრო აზომვები: ქ. ფოთში, ბათუმში, ქობულეთში, ხელვაჩაურში, ქედაში, ხულოში და შუახევში.

2002 ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები.

2005 ქ. გორსა და გორის რ–ში შენობა–ნაგებობების ტექნიკური ინვენტარიზაცია, საკადასტრო აზომვები, ინფორმაციის გადამუშავება, დიგიტალიზაცია.

რეაბილიტაცია–835 გრძივი მეტრი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2005 სოფ. შინდისის ტერიტორიაზე გორი-ცხინვალის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია–1550 გრძივი მეტრი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2005 სოფ. ნიქოზის ტერიტორიაზე გორი-ცხინვალის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია–1350 გრძივი მეტრი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2005 გორი-ზედდულეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია–1350 გრძივი მეტრი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2005 ტყვიავი-მერეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია–1160 გრძივი მეტრი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

- 2005 ტყვიავი-ფლავი-ფლავისმანის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია—1230 გრძივი მეტრი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2005 ქ. გორში ტყვიავის, კახნიაშვილის, გორკის ქუჩების კაპიტალური შეკეთება—1615 გრძივი მეტრი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2006 ზედღულეთი-ბერშუეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია—1335 გრძივი მეტრი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2006 ტყვიავი-ფლავი-ფლავისმანის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია—2890 გრძივი მეტრი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2006 გორი-ატენის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია—2189 გრძივი მეტრი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2006 ქ. გორში დ. აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია—2798 გრძივი მეტრი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2006 ქ. გორში ალ. ჯავახიშვილის, მიხ. ჯავახიშვილის, გარსევანიშვილის, სამგორის, ყაზბეგის, ლომოურის, წერეთლის, ყიფიანის ქუჩების და ცხ. გზატკეცილის ტროტუარის კაპიტალური შეკეთება.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2006 სოფ. შინდისის ტერიტორიაზე გორი-ცხინვალის საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია—1650 გრძივი მეტრი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2006 გორის ციხის რესტავრაციის პროექტი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2006 გორის რ—ის სოფ. ატენის სიონის მონასტრის განვითარების არქიტექტურულ — გეგმარებითი კონცეფცია.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2006 გორის რ—ის სოფ. ხიდისთავის ეკლესიის პროექტი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2006 გორის რ—ი, წეროსხევი, „მონადირის სახლი“ პროექტი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2006 ქ. გორში კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების, უძრავი ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების ინვენტარიზაცია.
- 2007 სოფელ ავნიკის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის მშენებლობის პროექტი.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

- 2007 თიღვის მუნიციპალიტეტში სოფლების ავნივი-ნულის გაზიფიცირება.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2007 ქუთის მუნიციპალიტეტი. მდ. დიდი ლიახვის სანაპიროზე მდებარე სოფლების გაზომარაგება.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2007 კეხვი-თამარაშენის წყალსადენის მაგისტრალის რეაბილიტაცია  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2007 ერედვი,არგვიცი, ფრისი, ქსუისი, დისევის გაზიფიცირება  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2007 Engineering and design works,project 016/ExB-PMS-PMA/07/IA 1 Water pipeline Avnevi Nuli Kimasi
- 2007 გორის მუნიციპალიტეტის სოფლების: არცევი,ტყვიავი, გორიჯვარი გზის მონაკვეთების რეაბილიტაცია  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2007 ქ. ყვარელში კ. მარჯანიშვილის სახელობის მუზეუმის თანამედროვე ევროპული დონის მუზეუმად გარდაქმნა
- 2007 გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სოფლებში სასმელი წყლით მომარაგების სისტემების, ასევე ჭაბურღილების სარეაბილიტაციო სამუშაოები.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2007 ქ. ახალციხეში გზების რეაბილიტაცია  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2007 ქ. ზნაურის სასმელი წყლით მომარაგება  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2007 ქ. გორში ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩების კეთილმოწყობისა და ასფალტის საფარის რეაბილიტაცია  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2007 გორის მუნიციპალიტეტის სოფლების შიდა გზების შეკეთების სახარჯთაღრიცხვო ლიკუმენტაციის მომზადება
- 2007 სოფ. ყელქეულის სარწყავი არხის საპროექტო სამუშაოები

- მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2007 სახელმწიფო მნიშვნელობის გორი-ვარიანი-ნიქოზის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2008 ქ. ყვარელში წმ. იოანე ნათლსმცემლის სახ. ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- 2008 გორის მუნიციპალიტეტში ტირიფონ სალთვისის სარწყავ სისტემაში შემაჯავლი არხების გაწმენდისათვის საჭირო ტექნიკური პროექტის მომზადება  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2008 ქ. გორში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია
- 2008 ქ. კასპში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2008 ქ. კასპში გზების რეაბილიტაცია  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2008 გორის მუნიციპალიტეტის სოფლების კარალეთის და ქვახვრელის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია
- 2008 ქ. გორში მდ. ლიახვზე მდებარე საავტომობილო ხიდთან მდინარის დაცვის, სანაპირო საყრდენი კედლების გამაგრება.  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2008 გორის რაიონის სოფ. ერედვის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის რეაბილიტაცია  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2008 ერედვის მუნიციპალიტეტის სოფ. დისევის სასმელი წყლით მომარაგების პროექტი  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2008 კასპის მუნიციპალიტეტში სოფ. ახალქალაქისა და სოფ. თეძმისხევის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია
- 2008 გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ოთარშენის სასმელი წყლით მომარაგების პროექტი  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2008

ქ. გორში სისხლის გადასხმის ცენტრის შენობის რეკონსტრუქციის ტექ. პროექტი

2008

ქ. გორში შშს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს ეზოს კეთილმოწყობის პროექტი  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2008

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საპრივატიზაციო ობიექტების აზომვითი ნახაზების მომზადება

2009

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებზე: ქ.გორის, ხიდისთავის, ვარიანის, მეჯვრისხევის და შავშვების ტერიტორიულ ერთეულებზე განლაგებული დევნილთა არსებული საცხოვრებელი და დამატებით მოსაწყობი ბინების რეაბილიტაციის პროექტი

2009

ქ.გორში წმინდაწყლის დასახლებაში საკანალიზაციო ქსელის და გარე განათების მოწყობა

2009

ქ. გორში ქუჩების რეაბილიტაციის და მოსაცდელის მოწყობის პროექტი

2009

გორში ქუჩების ასფალტის საფარის ორმოული სამუშაოების სადეფექტო უწყისი

2009

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო საპრივატიზაციო ობიექტების აზომვითი ნახაზების მომზადება

2009

კასპის მუნიციპალიტეტის სოფლების ნიაბისა და გრაკალის სასმელი წყლის ქსელის მშენებლობის პროექტი  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2009

გორის მუნიციპალიტეტში შემაგალი სოფლების შიდა სარწყავი არხების რეაბილიტაციის პროექტი

2009

გორის მუნიციპალიტეტში შემაგალი სოფლების წყალმომარაგების სისტემის პროექტი  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2009

ქ.გორში გურამიშვილისა და წითელარმიელების ქუჩების სანიაღვრე არხების აღდგენის პროექტი



- მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2009 სოფ. ტინისხიდის, თედოწმინდისა და ოთარშენის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტი
- 2009 ქ. გორში ბათუმის, ანტონოვისა და ბაგრატიონის ქუჩების მონაკვეთების ასფალტის საფარის რეაბილიტაცია  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2009 ქ.გორში ცხინვალის გზატკეცილზე არსებული გორის უნივერსიტეტის ყოფილი საერთო საცხოვრებლის კორპუსების ფილტრაციული წყლისაგან დასაცავად დრენაჟის მოწყობის პროექტი  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2009 დაბა სურამში სანატორიუმ „ნაკადულის“ გარე წყალმომარაგების რეაბილიტაციის პროექტი
- 2009 ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. დვირი-საკირე-ტაძრისის გზის რეაბილიტაციის პროექტი  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2009 სოფ. სკრაში და სოფ. სასირეთში წყალმომარაგების პროექტი
- 2010 Engineering design for construction of intake of drinking water sistem in Chumateleti (SURAMI)
- 2010 ქ. გორში ქუჩების რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება
- 2010 ქ. კასპში 26 მაისის ქუჩაზე ასფალტის, სანიაღვრე არხის და საფენმაკვლების მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა
- 2010 ქ. კასპში აღმაშენებლის ქუჩის ტროტუარების, აღმაშენებლის და კოსტავას ქუჩების დამაკავშირებელი (9 ძმის) ქუჩის, გურამიშვილის ქუჩის გვერდულზე სანიაღვრე არხის მოწყობა, ერეკლეს ქუჩაზე ზედა საყრდენი კედლის,სანიაღვრე არხის და ასფალტობეტონის

საფარის მოწყობის და კოსტავას ქუჩის რეაბილიტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება

მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2010

ქ. ხაშურში დემეტრე თავდადებულის ქუჩისა და მე-5 სკოლასთან მისასვლელი გზის, ძნელაძის ქუჩის და კოსტავას ქუჩის ასფალტობეტონის საფარის მოწყობის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის და დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება

მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2010

სოფელ კოდის ტერიტორიაზე ჩასახლებული დევნილებისათვის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

2010

ქ. გორში ქუჩების რეაბილიტაციისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2010

გორის მუნიციპალიტეტი. სოფ. ფხვენისისა და ქვემო ხვითის სარწყავი არხის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

2010

ქ. გორში საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

2010

საგურამო-ქუთაისის მაგისტრალური გაზსადენის „საგურამო-ხაშურის“ 0-100,7 კილომეტრი მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტის დერეფანში მოყოლილი მიწის ნაკვეთების აზომვა და საკადასტრო რუკების მომზადება.

2010

გორის მუნიციპალიტეტში შემაგალი საშუალო და დაბალი წნევის გაზის მილსადენების საკადასტრო გეგმების მომზადება

2010

ქ.გორში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შენობის მდგრადობის შესწავლა და დასკვნის მომზადება

2010

სოფელ სკრაში ლტოლვილთა კომპაქტურად ჩასახლების და საყოფაცხოვრებო წყლების მოშორების ღონისძიებებისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2010

ქარელის მუნიციპალიტეტი.სოფელ მოხისში იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ ჩასახლებაში ზედაპირული და საყოფაცხოვრებო წყლების დრენაჟისა და დატბორვის პრობლემის აღმოფხვრითი ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა

2010

ასპინძის რაიონში მშენებარე წყალსაცავამდე სოფ. ხიზაბავრადან და სოფ. ვარგავიდან სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისათვის საჭირო საავტომობილო გზის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება  
მათ შორის : ტოპოგრაფიული აგეგმვა.

2010

გორის რაიონი. სოფ. არბო, ტირძნისი და მეღვრეკისი ეკლესიების ტერიტორიის ტოპოგრაფიული აგეგმვა..

2011

ქარელის რაიონი. ყინწვისისი სამონასტრო კომპლექსისი ტერიტორიის ტოპოგრაფიული აგეგმვა.

# ვიტალი ნაზაროვი

ხმელნიცკის ქუჩა 44 „ა“  
საქართველო  
0136 თბილისი  
ტელ: (995 32) 79 10 76  
მობ: (995 93) 39 31 55  
ელ.ფოსტა: [vivanazarone@mail.ru](mailto:vivanazarone@mail.ru)

## პირადი ინფორმაცია

- ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
- სქესი: მამრობითი
- დაბადების თარიღი: 27.05.1951
- დაბადების ადგილი: თბილისი

## განათლება

1973-1980 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი  
(სამრეწველო და ქალაქგეგმარებითი მშენებლობის ფაკულტეტი)  
ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია 1980  
მაგისტრის ხარისხი ქალაქ-გეგმარებით მშენებლობაში.  
თელავის ღვინის ქარხნის პროექტირება, ხარჯთაღრიცხვა, არქიტექტურა, ვენტილაცია.

## მუშაობის გამოცდილება

შ.პ.ს. „ტოპ“ - სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები	
ტექნიკური განყოფილების ინჟინერი შ.პ.ს. „მ & ნ“	2006-დღემდე
ქალაქგეგმარებითი ინჟინერია - „კარიტას საქართველო“	2004-დღემდე
დაგეგმარებისა და ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი	1989-2004
„სპეცრემდიზაინმშენი“	
დაგეგმარებისა და ინდუსტრიის დეპარტამენტის უფროსი	1980-1989
სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების საბჭოში	

კულტურის სამინისტროში

ქალაქგეგმარებითი ინჟინერიის სამშენებლო დეპარტამენტში 1975-1980

ვაჭრობის სამინისტროს ექსპერტი და მრჩეველი სამშენებლო საქმიანობაში.

## შესრულებული სამუშაოები

- კარიტასის ახალგაზრდული ცენტრი
- სარემონტო სამუშაოები ისტორიული ძეგლები: იყალთოს მონასტერი, უბისის მონასტერი, სომხური კათედრალი თბილისში, ვარძიის ისტორიული კომპლექსი.
- მიწისძვრით დაზიანებული საბავშვო ბაღებისა და სკოლების შედამხედველობა
- ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენითი სამუშაოები, ფასადის მოპირკეთება.
- სამხატვრო აკადემიის აღდგენითი სამუშაოები
- რუსთაველის თეატრის სრული რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები
- სახელმწიფო კონსერვატორიის რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები
- საქართველოს ეროვნული ბანკის რეკონსტრუქცია
- ქუთაისში კალათბურთის სპორტული კომპლექსის ხარჯთაღრიცხვა
- საცურაო აუზების და სპორტული დარბაზების ხარჯთაღრიცხვა: გურჯაანი, საგარეჯო, მესტია, ლანჩხუთი, ჭიათიურა.
- სასტუმრო გუდაურში

## ენები

- ქართული-კარგად
- რუსული-კარგად
- სომხური-კარგად
- ინგლისური-საშუალოდ

## კომპიუტერული პროგრამები

- Microsoft Excel, Microsoft Word
- Archicad

# CURRICULUM VITAE

## თამარ მელივა

### პირადი ინფორმაცია

დაბადების თარიღი 12.05.1990  
მისამართი ხელოვანთა ქუჩა №4, თბილისი  
E-mail tamarameliva@gmail.com  
Tel. + (995 99) 12 33 14

### განათლება

თარიღი 2011წ. – დღემდე  
სასწავლო დაწესებულება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია  
ფაკულტეტი რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის  
ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია -  
კონსერვაციის სპეციალობა  
საფეხური მაგისტრატურა

თარიღი 2012წ. – 2013წ.  
სასწავლო დაწესებულება ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი  
ფაკულტეტი არქიტექტურის ფაკულტეტი – Architecture Heritage  
Preservation and Enhancement  
საფეხური მაგისტრატურა

თარიღი 2007წ. – 2011წ.  
სასწავლო დაწესებულება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია  
ფაკულტეტი რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის  
ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია-  
კონსერვაციის სპეციალობა  
საფეხური ბაკალავრი

თარიღი მარტი – ივნისი, 2011წ  
სასწავლო დაწესებულება რომის სახელმწიფო უნივერსიტეტი "La Sapienza"  
ფაკულტეტი prima facolta' di Architettura Ludovico Quaroni,  
საფეხური არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაცია,  
ბაკალავრიატი, თავისუფალი მსმენელი (იტალიის  
საგარეო საქმეთა სამინისტროს სტიპენდია)

თარიღი 1996წ. – 2007წ.  
სასწავლო დაწესებულება 47-ე საჯარო სკოლა

### სამუშაო გამოცდილება

2013 - დღემდე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია,  
ტიუტორი - რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და  
თეორიის ფაკულტეტი

2012 ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი  
თბილისის მეტეხის ტაძრის ტაძრის სარეაბილიტაციო  
სამუშაოების დონისძიებების ფარგლებში მდგომარეობის

წინასწარი კვლევა, დაზიანებათა სქემის შედგენა.  
კვლევითი ჯგუფის წევრი

- 2012 ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი  
ატენის სიონის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების  
ლონისძიებების ფარგლებში ტაძრის სამშენებლო მასალის  
მდგომარეობის შეფასება და ლაბორატორიული კვლევა  
კვლევითი ჯგუფის წევრი
- 2011 საქართველოს მემკვიდრეობა  
ტვიზის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია -  
რეაბილიტაციის პროექტი  
არქიტექტურის რესტავრატორი
- 2011 მანგლისის ტაძრის წინასაპროექტო შეფასება
- 2011 ატენის სიონის ტაძრის კედლის მხარობისა და ქვის  
საკონსერვაციო სამუშაოები - მდგომარეობის წინასწარი  
კვლევა, დაზიანებათა სქემის შედგენა.  
კვლევითი ჯგუფის წევრი
- 2010 საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და  
გადარჩენის ფონდი, ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის  
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია  
სომიწოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია -  
ძეგლის შესწავლა, გაწმენდა და აზომვა
- 2008 ჩვენი მემკვიდრეობა  
სუანეთში - მესტიის 10 კოშკის რეაბილიტაციის  
პროექტი  
აზომვითი სამუშაოები

ენების ცოდნა

ქართული	მშობლიური
ინგლისური	თავისუფლად
იტალიური	კარგად (B2)
რუსული	საშუალოდ

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD

Photoshop

Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint)

დამატებითი ინფორმაცია

2010

კონფერენცია და Workshop "Old Tbilisi Identity and Spirit"

## CURRICULUM VITAE

### გიორგი ტრაპაიძე

#### პირადი ინფორმაცია

დაბადების თარიღი 08.05.1992  
მისამართი ს. ცინცაძის ქ. №30ა, II ს. ბ. №52, თბილისის, საქართველო  
E-mail giorgi.trapaidze@yahoo.com  
ტელეფონი +(995 68) 320 530

#### განათლება

თარიღი 2010წ. - დღემდე  
სასწავლო დაწესებულება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია  
ფაკულტეტი რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის  
ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია-  
კონსერვაციის სპეციალობა  
საფეხური ბაკალავრიატი

თარიღი 1998წ. – 2010წ.  
სასწავლო დაწესებულება №1 ექსპერიმენტალური სკოლა

#### სამუშაო გამოცდილება

2011 საქართველოს მემეკვიდრეობა. ონის მუნიციპალიტეტის  
სოფ. ღების დუროიანი სახლის რეაბილიტაციის პროექტი.  
(არქ-რესტავრატორი)

2011 საქართველოს მემეკვიდრეობა. გარდაბნის  
მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფის თუშმალიშვილების  
საგვარეულო კოშკის რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-  
რესტავრატორი)

2011 საქართველოს მემეკვიდრეობა. დუშეთის  
მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სასამართლოს  
რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრატორი)

2012 ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრი  
ატენის სიონის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების  
ღონისძიებების ფარგლებში ტაძრის სამშენებლო მასალის  
მდგომარეობის შეფასება და ლაბორატორიული კვლევა  
კვლევითი ჯგუფის წევრი

2012 საქართველოს მემეკვიდრეობა. ასპინძის  
მუნიციპალიტეტის ვანის ქვაბების გუმბათიანი ეკლესიის  
რეაბილიტაციის პროექტი. (არქ-რესტავრატორი)



2012	საქართველოს მემეკვიდრეობა. მუნიციპალიტეტის სოფ. კვარშას რეაბილიტაციის პროექტი. (არქიტექტურატორი)	ასპინძის ეკლესიის
2012	საქართველოს მემეკვიდრეობა. ბათუმის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფინანსური ხარჯთაღრიცხვა.	განსაზღვრა,
2012	საქართველოს მემეკვიდრეობა. გელათის კომპლექსის სარეაბილიტაციო პროექტის კორექტირება.	სამონასტრო
2012	თბილისის მეტეხის ტაძრის სარეაბილიტაციო	კორექტირება.

ლონისძიებების ფარგლებში მასალის მდგომარეობის შეფასება და ლაბორატორიული კვლევა, კვლევითი ჯგუფის წევრი.

**ენების ცოდნა**

ქართული  
ინგლისური  
რუსული

მშობლიური  
თავისუფლად  
საშუალოდ

**კომპიუტერული პროგრამები**

- Microsoft Windows (xp, vista, 7)
- Linux
- Microsoft Office
- PHP (Web programing)
- HTML(Web design and programing)
- Web Server Management
- AutoCAD
- Photoshop
- Adobe Dreamweaver

## **ბიოგრაფიული ხარისხი**

---

- დაბადების ადგილი:** თბილისი
- დაბადების თარიღი:** 1993 წლის 22 იანვარი
- ბანათლება:**
  - თბილისი, №54-ე საშუალო სკოლა.
  - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.
- სამუშაო გამოცდილება:**
  - 2011 – 2012 – ახალციხის ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები
  - 2012 – სოხასტერის სამონასტრო კომპლექსის აზომეითი სამუშაოები
  - 2012 – იკვის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები
  - 2012 – ლიპის ეკლესიის აზომეითი სამუშაოები



10	საინჟინრო კომუნიკაციების მდგომარეობის შეფასება										
11	საპროექტო გადაწყვეტის ესკიზური ვარიანტი										
12	სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები										
13	მუზეუმის კონცეფცია და პროექტი										
14	არქიტექტურული ნაწილი										
15	კონსტრუქციული ნაწილი										
16	შიდა საინჟინრო კომუნიკაციების პროექტი										
17	გარე საინჟინრო კომუნიკაციის პროექტი										
18	უმრავი ძეგლის პასპორტი										
19	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი										
20	ჩასატარებელი სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა										

გამგეობის თავმჯდომარე  
კახა ტრაპაიძე

ნიკოლაძის კოსკის (ქ. ფოთი) რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა

ხარჯთაღრიცხვა

N	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება
1	განმარტებითი ბარათი	500
2	საპროექტო ობიექტის სიტუაციური გეგმა	300
3	ტოპოგრაფიული გეგმა	1300
4	ფოტოფიქსაცია	200
5	არქიტექტურული ანაზომები	4800
6	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა	1500
7	ზონდირება ინტერიერსა და ექსტერიერში	1200
8	შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები	1200
9	საინჟინრო -გეოლოგიური კვლევა	2200
10	საინჟინრო კომუნიკაციების მდგომარეობის შეფასება	800
11	საპროექტო გადაწყვეტის ესკიზური ვარიანტი	1000

12	სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები	800
13	მუზეუმის კონცეფცია და პროექტი	1300
14	არქიტექტურული ნაწილი	2600
15	კონსტრუქციული ნაწილი	1500
16	შიდა საინჟინრო კომუნიკაციების პროექტი	1000
17	გარე საინჟინრო კომუნიკაციების პროექტი	800
18	უმრავი ძეგლის პასპორტი	500
19	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი	500
20	ჩასატარებელი სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა	500
	სულ ხარჯი	24500.0
	ზედნადები ხარჯები 10%	2450.0
	სულ თანხა	26950.00

სამუშაოები განხორციელდება II ეტაპად, სამუშაოების ჩაბარების ვადაა 2013 წლის 30 ივლისი

## განმარტებითი ბარათი

ქალაქ ფოთის თვითმართვებლობის ისტორიის მუზეუმის რეაბილიტაციის შესაბამისად უნდა მოხდეს მისი ფუნქციური გადაგეგმარება.

ჩრდილოეთის მხრიდან გალავნის შემორჩენილ ნაწილზე 70-იან წლებში მიაშენეს კაფე, რომლის ნაწილს შეადგენს კოშკის I სართულიც. ჩვენი აზრით, კოშკში არსებული კაფის ნაწილი უნდა დაუბრუნდეს მუზეუმს, ხოლო გალავნის ისტორიული ნაწილი გამოეყოს ახლად აშენებული კედლებისგან. სასურველია მოინგრეს ახლად აშენებული კონტურები და შეიცვალოს მინის პარაპეტით; ასევე მინის პარაპეტით შეიცვალოს კოშკის III სართულიდან გამომავალი კუთხოვანი მილით გაკეთებული ტერასის მოაჯირი. კედლებიდან უნდა მოიხსნას გვიანდელი ნაღესობები, აღდგეს დასავლეთ ფასადზე კარებად გადაკეთებული სარკმელები, ხოლო აღმოსავლეთ ფასადზე - შესასვლელი კარები.

ნაღესობებიდან განთავსებულ კედლებზე უნდა ამოივსოს ქვებს შორის კირდულაბებით; მოხდეს IV, V სართულებს დაზიანებული ნაღესობების მოხსნა და აღდგენა.

კოშკის სამხრეთ მინაშენზე საჭიროა: არსებული შუშაბანდის ნაწილობრივი დემონტაჟი, აივნის ბეტონის რიკულების შეცვლა ხის რიკულებით; სახურავის სიმაღლის გადახურვის დონის დაწევა ფოტოების მიხედვით.

გეგმარების დროს უნდა მოხდეს მუზეუმის სპეციფიკის გათვალისწინება, რაც გამოიხატება თანამედროვე ტექნოლოგიების კლიმატკონტროლის, გათბობა-ვენტილაციის და კონდეცირების გათვალისწინებით.

ინტერიერშიც გასანთავისუფლებელია კედლები ბაირამიქსის შელესილობისაგან. შესაცვლელია ზოგი კარ-ფანჯარა, რომელიც არ შეესაბამება კოშკის მხატვრულ სახეს. გასაწმენდია და სარესტავრაციაო კოშკის შიდა ხვეული კიბე, ასევე სარესტავრაციაო ბანზე ასასვლელი შემორჩენილი ლითონის კიბე.

აღსადგენია პარიზიდან ჩამოტანილი კოშკის ისტორიული საათი.

## წინასწარული კონსტრუქციული კვლევა

ვიზუალური დათვალიერებით ნაგებობაზე არ შეიმჩნევა ჯდენა, ბზარები და კონსტრუქციული ხარვეზები; სახურავის ქანობის დაწვევის დროს შესაძლებელია საჭირო გახდეს რამოდენიმე საყრდენი კოჭის გამოცვლა; სახურავის საბურავი მოეწყოს ე. წ. ტეგოლათი (ფარფლისებური გადახურვა)

არქ-რესტავრატორი: თენგო გაბუნია

არქიტექტორი: ნოდარ ამაშუკელი

კონსტრუქტორი: დავით რამიშვილი



# ნიკო ნიკოლაძის კოშკი

ნიკოლაძის კოშკის (ფოთი) რეაბილიტაციის პროექტი  
სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები




შეადგინა  
ხელოვნებათმცოდნე კლარა (ინგა) ქარაიამ

ააიპ  
„საქართველოს მემკვიდრეობა“  
მაისი  
2013

## სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები

მე-16 საუკუნეში აგებული ნიკოლაძის სახელით ცნობილი კოშკი ამჟამად წარმოადგენს სსიპ ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 4 მარტის # 3/37 ბრძანება, დანართი # 1).

ისტორიული ექსკურსი: ნიკოლაძის სახელით ცნობილი კოშკი მდებარეობს ქალაქ ფოთში, რომელიც უძველესი დროიდან მოყოლებული, ხელოსნური წარმოების და ვაჭრობის ცენტრს და მნიშვნელოვან საპორტო ქალაქს წარმოადგენდა. 1578 წლიდან, როცა ფოთი ოსმალებმა დაიპყრეს, თურქების გარნიზონი თითქმის ორნახევარი საუკუნის მანძილზე აკონტროლებდა ფოთს და თითქმის მთელ შავი ზღვისპირეთს. ისტორიული წყაროების მიხედვით (არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, 1654 წ., [http://www.szs.gov.ge/cgi-bin/admin/show\\_menu\\_geo.pl?prfile=kult9.db](http://www.szs.gov.ge/cgi-bin/admin/show_menu_geo.pl?prfile=kult9.db), ჟან შარდენი, „მოგზაურობა საქართველოში“, <http://lib.ge/book.php?author=1407&book=8744>), სწორედ ამ პერიოდში, XVI საუკუნის 70-იან წლებში აუგიათ თურქებს ფოთის ციხე-სიმაგრე მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე.



ჟან შარდენის ცნობით, 1640 წელს სამეგრელოს მთავარმა ლევან მეორე დადიანმა და იმერეთ-გურია-სამეგრელოს სათავადოთა გაერთიანებულმა სამხედრო რაზმებმა დაიბრუნეს ფოთი და დაანგრეს თურქების მიერ აშენებული ციხე-სიმაგრე. თუმცა 1723-1725 წლებში თურქებმა კვლავ დალაშქრეს ფოთი, მმართველად დანიშნეს ფაშა, რომელსაც დაუმორჩილეს შავი ზღვის სანაპირო ზოლი და 1725 წელს აღადგინეს ციხე-

სიმაგრეც, რომელსაც ოთხკუთხედი ფორმა ჰქონდა და ოთხივე მხარეს კოშკით იყო გამაგრებული.

სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიაში შეყვანის შემდეგ, 1809 წელს თავად ნიკო დადიანის ხელმძღვანელობით ფოთი ისევ ქართველებმა დაიბრუნეს, ხოლო რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში, 1828 წელს რუსული ჯარის დახმარებით თურქები საბოლოოდ განდევნეს კიდეც ფოთის ტერიტორიიდან, რომელიც საქართველოს დაუბრუნდა, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა, რაც ოფიციალურად დადასტურდა 1829 წლის ადრიანოპოლის ზავით.

თურქთა ბატონობისაგან ფოთის ციხე-სიმაგრის განთავისუფლებას კავკასიის მეფისნაცვალეები (მათ შორის, პავლე ციციანოვი) უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ და აქედან გამომდინარე, 1870 წელს, როცა ფოთი ემზადებოდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის დასახვედრად, თურქთა ბატონობის სიმბოლოს - ფოთის ციხე-სიმაგრეს სახე უცვალეს. კერძოდ, მოშალეს მეჩეთი, მთავარ შესასვლელთან დააშენეს 2 სართული - კოშკი, რომელიც კონუსისებრი ხის შპილით მთავრდებოდა.



მოგვიანებით, XIX საუკუნის 70-იან წლებში, ფოთის ციხე-სიმაგრე დაშალეს, დემონტაჟის შედეგად დარჩენილი სამშენებლო მასალა გამოიყენეს ფოთში სხვადასხვა ნაგებობების, მათ შორის ნავსადგურის მშენებლობაში, როცა წამოიწყეს სამუშაოები

ნავსადგურის შიდა აუზის შესაქმნელად (ალექსანდრე დიუმა, "კავკასია", თბ., 2012). სწორედ ამ ციხე-სიმაგრის ნაშთს წარმოადგენს ფოთში ამჟამად შემორჩენილი „ნიკოლაძის კოშკის“ სახელით ცნობილი ნაგებობა, რომელიც შემდეგში რეკონსტრუირებული იქნა ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით (1843-1928 წწ.), რომელიც 1894 წელს ფოთის ქალაქის თავად იქნა არჩეული და ამავე შენობაში ცხოვრობდა 1894-1912 წლებში. ამგვარად, ძველი სამხედრო ობიექტი გარდაიქმნა ახალი სამოქალაქო ნაგებობად, რომელსაც შემდეგში „ნიკოლაძის კოშკი“ უწოდეს, რადგან, როდესაც ნიკო ნიკოლაძემ ფოთის თავის თანამდებობა დატოვა, კოშკის მის საკუთრებაში დარჩა.

**მნიშვნელობა:** ნიკო ნიკოლაძის სახელთან დაკავშირებული ეს ნაგებობა წარმოადგენს არა მხოლოდ ფოთის ისტორიის განუყოფელ ნაწილს და მის უძველეს ძეგლს, არამედ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნიმუშს, რომელსაც საყურადღებო ისტორიული ფასეულობა გააჩნია. „ნიკოლაძის კოშკი“ წარმოადგენს ანსამბლურ ხუროთმოძღვრულ ძეგლს. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი ნაგებობა აღარ არის შემორჩენილი პირვანდელი სახით, იგი მაინც ატარებს XVI საუკუნეში აგებული და XVIII საუკუნის 30-იან წლებში განახლებული ფოთის ციხე-სიმაგრის ნაშთის ნიშნებს, რასაც ცხადყოფს კოშკის მარჯვენა და მარცხენა მხარეს შემორჩენილი ციხის გალავნის ნაწილი.



ძირითადი ნაგებობა (რომელიც თურქების მიერ აგებულ ციხე-სიმაგრეზე რუსებმა დააშენეს) თავდაპირველად სამსართულიანი იყო. ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით, 1896 წელს კოშკს მოშორდა ხის ნაწილი, ნაგებობაზე დაშენებული იქნა ორი სართული, რომლის ბოლო სართულზე განთავსდა სამმხრივი მექანიკური საათი, რომელიც 1870 წელსაა დამზადებული პოლ გარნიეს (Paul Garnier) მანუფაქტურაში და ნიკო ნიკოლაძემ პარიზიდან ჩამოიტანა.





ამავე პერიოდში ნაგებობაზე მიშენებული იქნა ორსართულიანი ფლიგელი, საცხოვრებელი დანიშნულების ნაწილობრივ შემინული ღია რიკულებიანი აივნით. ძირითადი ნაგებობა - ხუთსართულიანი კოშკი ფაქტობრივად ნიკოლამძისეული სახითაა შემორჩენილი, ხოლო ორსართულიანმა ნაწილმა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში რამდენიმეჯერ იცვალა იერი: თავდაპირველად - შუმბანდი, შემდეგ - ღია აივანი, ხოლო დღევანდელი მდგომარეობით კი - კაპიტალურად ნაშენი მოაჯირებიანი შუმბანდი, რომელიც პირვანდელ, ნიკო ნიკოლამძისეულ იერ-სახესთან მისადაგების ნიშნით გაკეთდა.



ამჟამად ნაგებობა შედგება ხუთსართულიანი კოშკის, ორსართულიანი საცხოვრებელი ნაწილისა და XX საუკუნის 80-იან წლებში აშენებული კაფე-ბარისაგან.



ხუროთმოძღვრული ძეგლის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს ხუთსართულიანი კოშკი, რომელიც სართულიდან სართულში ლოგიკურად გადადის და ერთიანად აღიქმება. კოშკის მთავარი ფასადის პირველი სართული წარმოდგენილია შეწყვილებული ვიწრო კარით, თითოეული მათგანი ბოლოვდება შეისრული თაღით. მათ აერთიანებს საერთო ფონიდან რელიეფურად ამოწეული წარბი, რომლის თავზე განთავსებულია 1870 წლით დათარიღებული ფილა, რომლის წარწერა, რომელიც 1828 წელს ფოთის ციხე-სიმაგრის თურქებისაგან გათავისულებას გვამცნობს.



მეორე სართულზე შეისრული ფორმის სარკმელია გამოჭრილი. მესამე სართული კი შეწყვილებული თაღოვანი სარკმელით არის წარმოდგენილი, რომელსაც რელიეფურად დამუშავებული შეისრული თაღის სტილიზებული არქივოლტი აერთიანებს. მეოთხე სართულზე ცრუ სარკმელია რელიეფური მოჩარჩოებით, ხოლო მეხუთე სართულზე კი ლუნეტია წარმოდგენილი. ფასადზე სართულები ჰორიზონტალური, რელიეფური სარტყლებით არის დანაწევრებული. კოშკი ბოლოვდება პროფილირებული კარნიზითა და ქონგურებით. კოშკში შესვლა ხდება ფლიგელისა და კოშკის გამაერთიანებელი ნაწილში განთავსებული ქვის კიბეების საშუალებით.





საკუთვრივ კოშკის სართულები ერთმანეთთან ხის, სპირალური, რიკულეზ-მოაჯირიანი შიდა კიბით არიან დაკავშირებული. თითოეული სართულის კიბის უჯრედი სართულების მიხედვით იხურება იატაკში ამოჭრილი ხის ლუქით.



კოშკის ძირითადი ხუთსართულიანი შენობის პირველ სართულზე ქვის ასასვლელი კიბის გარდა დამხმარე სათავსოებია განთავსებული. მეორე და მესამე სართულზე განთავსებულია ნიკო ნიკოლაძის მემორიალური მუზეუმის საექსპოზიციო მასალები; მეოთხე სართულის ოთახი, როგორც ჩანს, ბუხრით განკუთვნილი იყო ნიკოლაძის სტუმრების მისაღებად.



მეხუთე სართულზე განთავსებულია ციფერბლატიანი მექანიკური საათის მექანიზმი. კოშკი ბოლოვდება სათვალთვალო ტერასით, სადაც ასვლა შესაძლებელია აღმოსავლეთის ფასადზე დაკიდული ლითონის კიბით.



დღევანდელი მდგომარეობა: ძეგლის დღევანდელი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. დაზიანებულია გარეთა კიბე, ნესტისაგან ბათქაშგადაცლილია ნაგებობის კედლები, ჩამოცვენილია შელესილობა, დაზიანებულია აივნის მოაჯირები, კოშკის კედლებზე, განსაკუთრებით გალავნის, ქონგურებისა და დასავლეთ ფასადის მხრიდან ამოსულია სხვადასხვა სახის მცენარეები და სხვ. დაზიანებულია და რესტავრაციას საჭიროებს ასევე სამუზეუმო ინვენტარიც.





მოსალოდნელი საფრთხე: გარდა იმისა, რომ დაზიანებები საკმაოდ პროგრესირებადია და საფრთხეს უქმნის ძეგლის მნახველთა სიცოცხლეს, ნაგებობაზე ამოსულმა მცენარეებმა, რომლებსაც ფესვები გადგმული აქვს შენობის წყობის ქვებს შორის, შესაძლებელია თანდათან გამოიწვიოს ნიკოლაძის კოშკის - ქართული კულტურული მემკვიდრეობის ამ მნიშვნელოვანი ძეგლის სრული დანგრევაც კი.

#### წინასწარი რეკომენდაციები:

ნიკოლაძის კოშკის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე:

- აუცილებელია ნაგებობის გამაგრება-კონსერვაცია: შენობა უნდა გათავისუფლდეს მცენარეებისაგან, გამაგრდეს ქვები, ანულირებული იქნეს სხვა ტიპის დაზიანებები და ჩატარდეს ძეგლის შიდა სივრცის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- უნდა დადგინდეს ნაგებობის სრული რეაბილიტაციის მეთოდი და კოშკის თავდაპირველი სახის დასადგენად შესწავლილი უნდა იქნეს არსებული უტყუარი მონაცემები - ძეგლის გალავნის კედლებზე და თვით ნაგებობის შიგნით შემორჩენილი ფრაგმენტები;
- XVI საუკუნეში აგებული და XVIII საუკუნის 30-იან წლებში განახლებული ფოთის ციხე-სიმაგრის თავდაპირველი, ისტორიული სახის წარმოჩენისათვის რეაბილიტაციის პროცესში უნდა შენარჩუნდეს ძეგლის გალავნის კედლების თანადროული წყობის შემორჩენილი ფრაგმენტები;
- ძეგლს მაქსიმალურად უნდა აღუდგეს და შეუნარჩუნდეს ნიკო ნიკოლაძის დროინდელი რეკონსტრუქციის იერ-სახე, რისთვისაც ნაგებობის შიგნით არსებული მონაცემების გარდა, შესაძლოა გამოყენებული იქნეს საარქივო მასალებიც, რაც ერთიან კონტექსტში სრულ წარმოდგენას შექმნის ძეგლის ნიკოლაძისეულ რეკონსტრუქციაზე;
- აუცილებელია, გაანალიზებული უნდა იქნეს და შენარჩუნდეს ძეგლის ორსართულიანი ნაწილის არქიტექტურული სახე, რომელმაც ნიკო ნიკოლაძისეული რეკონსტრუქციის შემდეგ - საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, რამდენიმეჯერ შეიცვალა იერი;
- სასურველია, გაანალიზებული უნდა იქნეს XX საუკუნის 80-იან წლებში აშენებული კაფე-ბარის არქიტექტურული სახე. სათანადო დასკვნების საფუძველზე, აუცილებელია, გასწორდეს აღმოჩენილი ხარვეზები; საჭიროების შემთხვევაში, ახლებურად იქნეს გადაწყვეტილი - მაქსიმალურად მიუახლოვდეს ძეგლის არქიტექტურულ ანსამბლს და არ ამოვარდეს საერთო კონტექსტიდან;
- ვინაიდან ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი საკმაოდ მდიდარი ექსპოზიცია განთავსებულია ნიკოლაძის კუთვნილ მემორიალურ სახლში - სამტრედიის რაიონის სოფ. დიდ ჯიხაიშში, შესაძლებელია მეორე და მესამე სართულზე განთავსებული მემორიალური ექსპოზიცია შეიცვალოს ქალაქ ფოთის თვითმმართველობის ისტორიის ამსახველი მასალებით და კოშკში განთავსდეს ქალაქ ფოთის თვითმმართველობის ისტორიის მუზეუმი. მით უმეტეს, ნიკო ნიკოლაძის ფოთში ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები (1894-1912 წწ.) მჭიდროდ უკავშირდება სწორედ ქალაქის აღმშენებლობას და განვითარებას.

## რეკომენდაციები

ქალაქ ფოთის თვითმმართველობის ისტორიის მუზეუმის მუდმივი ექსპოზიციის მოსაწყობად

მრავალფეროვანი სამუზეუმო ობიექტების ინტერპრეტაცია კომპლექსურად, ფართო ისტორიულ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტში სხვადასხვა კომპონენტებისა და საშუალებათა გამოყენებით, რაც ხაზს გაუსვამს ქალაქ ფოთის თვითმმართველობის ისტორიას, მის როლს და მნიშვნელობას ზოგადად საქართველოს ისტორიაში საგანგებოდ შერჩეული ნივთების ექსპონირებით (მაგ., ანტიკური პერიოდის რომელიმე არქეოლოგიური ნიმუში, ფოთის ისტორიასთან დაკავშირებული დოკუმენტური და ფოტომასალა - ფოთის რკინიგზის, ნავსადგურის, ტაძრის მშენებლობასთან თუ სხვა რაიმე ღირსშესანიშნავ ისტორიულ თუ კულტურულ მოვლენასთან დაკავშირებული მასალები და სხვ.), ძველი და ახალი ფოტომასალების, ვიდეოინსტალაციებისა და მულტიმედიური კომპიუტერული სისტემების გამოყენებით, პოსტერებსა და ბანერებზე ტექსტური და გრაფიკული მასალების განთავსებით.





ქ. ფოთში იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის განთავსების ადგილის საინჟინრო გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების წინასწარი შეფასება

შესავალი

ქ. ფოთში იაკობ ნიკოლაძის სახლის განთავსების ადგილის გეოტექნიკური პირობების წინასწარი კვლევა ჩატარდა ა.წ-ის მაისში.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობის და საძირკვლის სავარაუდო ვარგისიანობის დადგენა.

იაკობ ნიკოლაძის სახლი მდებარეობს ქ. ფოთის ცენტრში. სახლი წარმოადგენს კოშკის ტიპის 4,5 სართულიან ნაგებობას, რომელიც მიშენებულია 2 სართულიან საცხოვრებელი სახლზე.

1. ფიზიკურ – გეოგრაფიული პირობები  
(რელიეფი, ჰიდროგრაფია, გეომორფოლოგია)

კლიმატური თვალსაზრისით უბანი შედის კოლხეთის ბარის ზღვის სუბტროპიკული ჭარბად ნოტიო ჰაერის ზონაში, თბილი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. უბნის კლიმატის ცალკეული ელემენტები დახასიათებულია ფოთის და მის გარშემო მყოფი მეტეოსადგურების მონაცემებით.

უბანზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა  $13.7^{\circ}\text{C}$ . ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით  $5.0^{\circ}\text{C}$ . ყინვები იშვიათია და ხანმოკლე დეკემბრიდან მარტის ბოლომდე. აბსოლუტური მინიმუმია  $-17^{\circ}\text{C}$ . წლის ყველაზე თბილი თვეებია ივლისი და აგვისტო  $22.6^{\circ}\text{C}$  საშუალო ტემპერატურით. აბსოლუტური მაქსიმუმია  $41^{\circ}\text{C}$ .

მოსული ნალექების წლიური ჯამია 1703 მმ. მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის შემოდგომაზე, შედარებით მშრალია გაზაფხული და ზაფხული. წელიწადში საშუალოდ 157 დღე ნალექიანია. ნალექების დღე-ღამური აბსოლუტური მაქსიმუმია 256 მმ. ნალექები თოვლის სახით ძლიერ იშვიათია. იგი შესაძლებელია მოვიდეს დეკემბრის შუა რიცხვებიდან მარტის პირველი დეკადის ჩათვლით, მაგრამ მაშინვე დნება.

უბანზე საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობაა 78%. წელიწადში საშუალოდ 87.3 დღე გამოირჩევა მაღალი ( $\geq 80\%$ ) ფარდობითი ტენიანობით.

წლის განმავლობაში უბანზე ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთის (30%), სამხრეთ-დასავლეთის (17%) და დასავლეთის (17%) ქარები. გაცილებით ნაკლებია ჩრდილო-აღმოსავლეთის (12%) და ჩრდილო-დასავლეთის (8%) ქარები, ხოლო ყველაზე ნაკლებია სამხრეთ-აღმოსავლეთის (7%), სამხრეთის (5%) და ჩრდილოეთის (4%) მიმართულების ქარები. ქარის სიჩქარის საშუალო წლიური მაჩვენებელია 3.4 მ/წმ.

ძლიერქარიან ( $\geq 15$  მ/წმ) დღეთა საშუალო რაოდენობაა წელიწადში 40 დღე, ხოლო მაქსიმალური 78 დღე. ქარზე დაკვირვებათა რაოდენობის 14% შეადგენს შტილი.

ცხრილი 1

ქარის ყველაზე დიდი შესაძლო სიჩქარე

მონველწლიურად	5 წელიწადში	10 წელიწადში	15 წელიწადში	20 წელიწადში	50 წელიწადში
26	32	34	37	38	42

3. გეოლოგიური აგებულება, პიდროგეოლოგია, გეომორფოლოგია და გეოდინამიკური პირობები

გეოლოგიური თვალსაზრისით რაიონი მიეკუთვნება საქართველოს ბელტის დასავლეთის დაძირვის კოლხეთის ზონას, კერძოდ რიონ-ჭალადიდის დეპრესიას, სადაც ზედა მეოთხეულის პერიოდში (პოლოცენი) მიმდინარეობდა ზღვიური ნალექების აქტიური დაგროვება, რომლის სიმძლავრე რამოდენიმე ასეული მეტრით განისაზღვრება.

ლითოლოგიურად ეს ნალექები წარმოდგენილი არიან უმთავრესად რბილ და დენადპლასტიურ მდგომარეობაში მყოფი თიხებითა და თიხნარებით, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვამარცვლოვანი ფრაქციების ქვიშის ლინზებს, შუაშრეებს და მცენარეული ნაშთების ჩანართებს. მხოლოდ თვითონ ქ. ფოთისა და მისი შემოგარენის ტერიტორია ლითოლოგიურად განსხვავებულია და აგებულია სხვადასხვამარცვლოვანი წყალგაჯერებული ქვიშებისაგან, რომლებიც შეიცავენ წვრილი კენჭების, ნიჟარების, მცენარეული ნაშთების ჩანართებს, თიხისა და თიხნარების ლინზებსა და შუაშრეებს.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია მდებარეობს კოლხეთის დაბლობის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, რომელიც ამავე დროს ზღვიურ ტერასას წარმოადგენს და ბრტყელი ვაკე რელიეფის მქონე ზედაპირით ხასიათდება. აბსოლუტური ნიშნულები 2.07-2.41 მ-ის ფარგლებში ცვალებადობენ.

გრუნტის წყლების სავარაუდო დონეები საკვლევი უბნის ფარგლებში მოსალოდნელია 1.8-2.0 მ-ის სიღრმეებზე. მათი დონეების ცვალებადობის რეჟიმი



დამოკიდებულია როგორც ზღვის დინამიკურ რეჟიმზე, ასევე ატმოსფერული ნალექების მოდენის ინტენსივობაზე.

საკვლევი ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესებიდან და მის მიმდებარედ გავრცელებულია დაჭაობება, რომლის ხარისხობრივი მაჩვენებელი დამოკიდებულია გრუნტისა და ნიადაგის წყლის შემცველობაზე. საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით საკვლევი უბანი სამშენებლო ნორმების და წესების СНИП 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართით ეკუთვნის II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.

საქართველოს ტერიტორიის ამჟამად მოქმედი სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით ქ. ფოთი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება №1-1/2284 “სამშენებლო ნორმებისა და წესების “სეისმომედეგი მშენებლობა” პნ 01.01-09 – დამტკიცების შესახებ”) სამშენებლო მოედნის გრუნტების სეისმურობად სამშენებლო ნორმების და წესების СНИП 11-7-81 დანართის ცხრილის თანახმად მიღებული უნდა იქნეს 9 ბალი.

რაიონის გეოლოგიური აგებულება – ქანების რაობა, ასაკი, გენეზისი და ა.შ. განსაზღვრავს მის სეისმურობას – საქართველოს სეისმური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება სეისმურობის 8 ბალიან ზონას

რაიონის გეომორფოლოგიური, გეოლოგიურ-ლითოლოგიური აგებულება და ზღვის სიახლოვე განსაზღვრავს მის ჰიდროგეოლოგიურ პირობებს, კერძოდ აქ გავრცელებული ქვიშები გაჯერებულია გრუნტის წყლებით. ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ეს წყლები მიეკუთვნება უმთავრესად ჰიდროკარბონატულ კალციუმიან-ნატრიუმიან, ან ჰიდროკარბონატულ კალციუმიან-მაგნიუმიან ტიპის წყლებს. გვხვდება აგრეთვე ჰიდროკარბონატულ ქლორიდულ-კალციუმიანი წყლებიც.

საკვლევი უბანზე ეგზოგენური გეოლოგიური პროცესები განვითარებული არ არის.

### 3. ნაგებობის ფიზიკური მდგომარეობის შეფასების შედეგები



კვადრატული ფორმის, 4,5 სართულიანი კოშკური ტიპის, შენობის საძირკველი სავარაუდოდ ლენტური ტიპისა უნდა იყოს (ყორე ქვის წყობა კირის დულაბზე)

შენობის კედლების ნაშენია თლილი ყორექვით, სახურავი ჰორიზონტალური გადახურვისაა, საიდანაც ხდება პერიოდულად წყლის გაჟონვა, კედლის ქვის წყობა ალაგ-ალაგ დასუსტებულია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შენობის დაზიანებების მიზეზის დასადგენად აუცილებელია ჩატარებულ იქნას დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (საძირკვლების გახსნა შენობის კუთხეებში, ნიმუშების აღება, მათი ფიზურ-მექანიკური თვისებების დადგენა ლაბორატორიულ პირობებში, მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავება და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედგენა).

ინჟინერ-გეოლოგი

გ. რაზმაძე

# სიტუაციური გეგმა



# აღმოსავლეთი ფასადი

მოხდეს არსებული საწვიმარი სისტემის დემონტაჟი და აღდგეს და ძველი სახურავზე შემორჩენილი წყლისგადაყვანის სისტემა.

შეიცვალოს სახურავი და მოხდეს დონის დაწევა ისტორიული ფოტოებიდან გამომდინარე.




ძველი კონტური.

გაიხსნას ისტორიული დიობი.

მოიხსნას არსებული ბაირამიქსის ნაღესობა ჩატარდეს ზონდირება და ისტორიული წყაროების დახმარებით გადაწყდეს მომავალი სამუშაოები.

მოიხსნას არსებული ამორტიზებული ნაღესობა ჩატარდეს ზონდირება და ისტორიული წყაროების დახმარებით გადაწყდეს მომავალი სამუშაოები.

# აღმოსავლეთი ფასადი



მოხდეს არსებული საწვიმარი სისტემის დემონტაჟი და აღდგეს და ძველი სახურავზე შემორჩენილი წყლისგადაყვანის სისტემა.

მოიხსნას არსებული ამორტიზებული ნაღესობა ჩატარდეს ზონდირება და ისტორიული წყაროების დახმარებით გადაწყდეს მომავალი სამუშაოები.

მოიხსნას არსებული ბაირამიქსის ნაღესობა ჩატარდეს ზონდირება და ისტორიული წყაროების დახმარებით გადაწყდეს მომავალი სამუშაოები.

აღდგეს ისტორიული საათი.

მოხდეს ახლად აშენებული მინაშენის დემონტაჟი და შეიცვალოს მინის პარაპეტით, შენარჩუნდეს მხოლოდ წყობის ისტორიული ნაწილი.

მოხდეს კიბის დემონტაჟი და შეიცვალოს თანამედროვე მასალების გამოყენებით დამზადებული კიბით.

ძველი კონტური.

გაიხსნას ისტორიული დიობი.

## სამხრეთი ფასადი

მოიხსნას არსებული ამორტიზებული ნაღესობა ჩატარდეს ზონდირება და ისტორიული წყაროების დახმარებით გადაწყდეს მომავალი სამუშაოები.

მოიხსნას არსებული ბაირამიქსის ნაღესობა ჩატარდეს ზონდირება და ისტორიული წყაროების დახმარებით გადაწყდეს მომავალი სამუშაოები.



აღდგეს ისტორიული კიბე.

მოხდეს არსებული საწვიმარი სისტემის დემონტაჟი და მოეწყოს ახალი.

შეიცვალოს სახურავი და მოხდეს დონის დაწევა ისტორიული ფოტოებიდან გამომდინარე.

## დასაგლეოთი ფასადი

მოხდეს არსებული საწვიმარი სისტემის დემონტაჟი და აღდგეს და ძველი სახურავზე შემორჩენილი წყლისგადაყვანის სისტემა.

მოიხსნას არსებული ამორტიზებული ნაღესობა ჩატარდეს ზონდირება და ისტორიული წყაროების დახმარებით გადაწყდეს მომავალი სამუშაოები.


მოხდეს არსებული მოაჯირის დემონტაჟი და შეიცვალოს ახალი მინით დამზადებული მოაჯირით.

მოიხსნას არსებული ბარამიქსის ნაღესობა ჩატარდეს ზონდირება და ისტორიული წყაროების დახმარებით გადაწყდეს მომავალი სამუშაოები.

აღდგეს ისტორიული საათი.

შეიცვალოს სახურავი და მოხდეს დონის დაწევა ისტორიული ფოტოებიდან გამომდინარე.

ნაწილობრივ გაიხსნას შემინული აივანი ისტორიული ფოტოებიდან გამომდინარე.



## ჩრდილოეთის ფასადი

მოხდეს არსებული საწვიმარი სისტემის დემონტაჟი და აღდგეს და ძველი სახურავზე შემორჩენილი წყლისგადაყვანის სისტემა.

მოიხსნას არსებული ამორტიზებული ნაღესობა ჩატარდეს ზონდირება და ისტორიული წყაროების დახმარებით გადაწყდეს მომავალი სამუშაოები.

მოხდეს ახლად აშენებული მინაშენის დემონტაჟი და შეიცვალოს მინის პარაპეტით, შენარჩუნდეს მხოლოდ წყობის ისტორიული ნაწილი.

მოხდეს კიბის დემონტაჟი და შეიცვალოს თანამედროვე მასალების გამოყენებით დამზადებული კიბით.



აღდგეს ისტორიული საათი.

მოხდეს არსებული მოაჯირის დემონტაჟი და შეიცვალოს ახალი მინით დამზადებული მოაჯირით.



# დასავლეთი ფასადი

მოხდეს არსებული საწვიმარი სისტემის დემონტაჟი და აღდგეს და ძველი სახურავზე შემორჩენილი წყლისგადაყვანის სისტემა.

მოიხსნას არსებული ამორტიზებული ნაღესობა ჩატარდეს ზონდირება და ისტორიული წყაროების დახმარებით გადაწყდეს მომავალი სამუშაოები.

მოხდეს ახლად აშენებული მინაშენის დემონტაჟი და შეიცვალოს მინის პარაპეტი, შენარჩუნდეს მხოლოდ წყობის ისტორიული ნაწილი.

მოხდეს არსებული მოაჯირის დემონტაჟი და შეიცვალოს ახალი მინით დამზადებული მოაჯირით.

მოიხსნას არსებული ბაირამიქსის ნაღესობა ჩატარდეს ზონდირება და ისტორიულ წყაროების დახმარებით გადაწყდეს მომავალი სამუშაოები.

ნაწილობრივ გაიხსნას შემინული აივანი ისტორიული ფოტოებიდან გამომდინარე.



აღდგეს ისტორიული საათი.

გალავნის ძველი ნაწილის კონტური.

შეიცვალოს სახურავი და მოხდეს დონის დაწევა ისტორიული ფოტოებიდან გამომდინარე.

# ინტერიერში ჩასატარებელი სამუშაოები



სართულშუა გადახურვაზე და  
ლუქვებზე მოხდეს ზონდირება  
და ზონდაუგების მიხედვით  
გადაწყდეს მომავალი სამუშაოები.



მოიხსნას არსებული ბაირამიქსის  
ნაღესობა ჩატარდეს ზონდირება  
და ისტორიული წყაროების  
დახმარებით გადაწყდეს  
მომავალი სამუშაოები.

აღდგეს ისტორიული პარიზიდან  
ჩამოტანილი საათი, შესაბამისი  
სპეციალისტის მიერ მოხდეს  
პროექტის მომზადება და  
შემდგომი აღდგენა.

რუნდერები



